<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე უშაკოვის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის დირიჟორის ოდისეი დიმიტრიადის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, თეოდორე უშაკოვის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს დირიჟორის ოდისეი დიმიტრიადის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:486522 Y:4616336
X:486717 Y:4616316
X:486949 Y:4616295
X:487124 Y:4616296
X:487136 Y:4616302
X:487213 Y:4616306
X:487288 Y:4616316
X:487362 Y:4616330
X:487454 Y:4616295
X:487505 Y:4616309
X:487534 Y:4616302
X:487682 Y:4616292
X:487706 Y:4616297
N
1:4,500



ოდისეი დიმიტრიადი

(1908-2005)

დირიჟორი, სახალხო არტისტი , თბილისის, ბათუმისა და ათენის საპატიო მოქალაქე.

1926-1930 წლებში სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში საკომპოზიციო განხრით (მ. ბაგრინოვსკისა და ს. ბარხუდარიანის კლასები). კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სოხუმში, დაწერა მუსიკა სოხუმის ბერძნული დრამატული თეატრის სპექტაკლებისათვის, საორკესტრო და საფორტეპიანო პიესები.

1937-1947 წლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორია, 1947-1952 წლებში კი საქართველოს სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი. მისი ხელმძღვანელობით აჟღერდა ანდრია ბალანჩივაძის, შალვა მშველიძის, ალექსი მაჭავარიანის, ოთარ თაქთაქიშვილისა და სხვათა ნაწარმოებები.

ომის შემდგომ წლებში დიმიტრიადი იწყებს ფართო საგასტროლო მოღვაწეობას. კლასიკური რეპერტუარიდან დიმიტრიადი წარმატებით ასრულებდა ბეთჰოვენის V და VII სიმფონიებს, ბერლიოზის „ფანტასტიკურ სიმფონიას“, დვორჟაკის V სიმფონიას „ამერიკიდან“, ბრამსის I სიმფონიას, ვაგნერის საორკესტრო ფრაგმენტებს ოპერებიდან, ჩაიკოვსკის I, IV, V, და VI სიმფონიებს, „მანფრედს“, რიმსკი-კორსაკოვის „შეჰერეზადას“ და სხვა.

1952-1965 წლებში დიმიტრიადი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი იყო. ამ პერიოდში მან უხელმძღვანელა მრავალი კლასიკური და თანამედროვე ოპერის დადგმას, რომელთაგანაც აღსანიშნავია ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ (1953), შალვა მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“ (1961), ოთარ თაქთაქიშვილის

„მინდია“ (1961), პეტრე ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“ (1953) და „ორლეანელი ქალწული“ (1957), სერგეი პროკოფიევის „სემიონ კოტკო“ (1964), კონსტანტინე დანკევიჩის „ბოგდან ხმელნიცკი“ (1954) და სხვა. საბალეტო სპექტაკლებიდან — ალექსი მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“, თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე (1958).

1958 წელს დიმიტრიადი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასთან ერთად გამოდიოდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მისი დირიჟორობით სოფიაში დაიდგა ჯუზეპე ვერდის „აიდა“ (1960), მეხიკოში — მოდესტ მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“ (1960), ათენში — პეტრე ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“ და „პიკის ქალი“ (1965).

ოდისეი დიმიტრიადი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. იყო თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი (სადირიჟორო კლასი). დაჯილდოებულია ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032214731**
თარიღი: **27/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

ბატონო ვიქტორ,

საქმისწარმოების პროცესის შემდგომი გაგრძელების მიზნით, მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ თეოდორე უშაკოვისა და ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩის მონაკვეთების სიტუაციური ნახაზები დანართის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბმისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01221512819**
თარიღი: **31/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 27.05.2022 წლის #03-032214731 (27.05.2022წ. 14-01221473241-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. 2 დანართი)

ოთარ ჩიტიძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ს/ნ: 01026001899

ტელ: 595942034

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონო გიორგი,

მოგმართავთ საქართველოს დამსახურებული(სახალხო) არტისტის, დირიჟორ ოდისეი დიმიტრიადის ოჯახის და ახლობლების სახელით. მოგახსენებთ, რომ ყველსათვის კარგადაა ცნობილი მე-20 საუკუნის საქართველოს და მსოფლიო მუსიკალური სამყაროს ერთერთი გამორჩეული წარმომადგენელი დიდი მაესტრო ოდისეი დიმიტრიადი დაიბადა ქ. ბათუმში, 1908 წელს.ცნობილმა დირიჟორმა და საზოგადო მოღვაწემ მთელი თავისი ხანგძლივი ცხოვრება შეალია და უანგაროდ ემსახურა ქართული მუსიკის პოპულარიზაციას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში. 1937 წლიდან ოდისეი დიმიტიადი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი ხდება, ხოლო 1952-1965 წლებში მთავარი დირიჟორი . 1965 წელს ის მიიწვიეს მოსკოვში, დიდი თეატრის წამყვანი დირიჟორის პოზიციაზე, სადაც მუშაობდა 1973 წლამდე. პარალელურად იგი არ წყვეტდა ქართველი მუსიკოსების ახალი თაობების აღზრდის პროცესს.მთელი ამ წლების განმავლობაში გახლდათ თბილისის და ქუთაისის კონსერვატორიების პროფესორიც. მის აღრდზილ მოწაფეთა შორის მაესტრო ჯანსუღ კახიძის დასახელებაც საკმარისია. მის ტიტულებს რაც ეხება იგი გახლდათ სსრკ და საქართველოს სახალხო არტისტი, შ.რუსთაველის და ზ.ფალიაშვილის სახ.პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, დაჯილდოებულია მრავალი ქალაქის მათ შორის ქ.ათენის „ოქროს საპატიო მედლით", და მრავალი სხვა ტიტულით. ამავე დროს იგი ფლობდა თბილისის ,ბათუმის, ათენის საპატიო მოქალაქის ტიტულებს. იყო 1980 წელს მოსკოვში ჩატარებული ოლიმპიური თამაშების ოფიციალური ცერემონიალების მუსიკალური ხელმძღვანელი. მიუხედავად იმისა, რომ მას არაერთ მეგაპოლისში მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა სიცოცხლის განმავლობაში, მათ შორის ისტორიულ სამშობლოში, განსაკუთრებით უყვარდა თბილისი, სადაც დაბრუნდა სიბერეს ჯამს და აღესრულა კიდეც 97 წლის ასაკში. დაგრძალულია ზ.ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში.

ჩვენთვის, დიდი მაესტროს ოჯახისთვის, მისი მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლებისთვის, მოწაფეებისთვის და უბრალო მოქალაქეებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ თბილისის ერთ-ერთი ქუჩა მის სახელს ატარებდეს. მნიშვნელოვანია, რომ მომავალმა თაობებმა იცოდნენ სახელი იმ კაცისა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ქართულ კულტურას მიუძღვნა .გვჯერა, რომ თბილისის საკრებულო გაიზიარებს ჩვენს თხოვნას რომ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს დიდი მაესტრო ოდისეი დიმიტრიადის სახელი.

პატივისცემით , ოდისეი დიმიტრიადის ოჯახი და ახლობლები.

03/09/2021